

საქართველოს მთავრობის
დადგენილება N
2023 წლის ქ. თბილისი

კვერცხმდებელი ქათმის დაცვის მინიმალური მოთხოვნების
დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „კვერცხმდებელი ქათმის დაცვის მინიმალური მოთხოვნები“.

მუხლი 2. ეს დადგენილება, გარდა ამ დადგენილებით დამტკიცებული „კვერცხმდებელი ქათმის დაცვის მინიმალური მოთხოვნების“ მე-4 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებისა, ამოქმედდეს 2028 წლის პირველი იანვრიდან.

მუხლი 3. ამ დადგენილებით დამტკიცებული „კვერცხმდებელი ქათმის დაცვის მინიმალური მოთხოვნების“ მე-4 მუხლის:

- ა) პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2038 წლის პირველი იანვრიდან;
- ბ) მე-6 პუნქტი ამოქმედდეს 2035 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ლარიბაშვილი

კვერცხმდებელი ქათმის დაცვის მინიმალური მოთხოვნები

მუხლი 1.

1. „კვერცხმდებელი ქათმის დაცვის მინიმალური მოთხოვნები“ (შემდგომში - წესი) ადგენს კვერცხმდებელი ქათმის დაცვის მინიმალურ მოთხოვნებს.

2. ეს წესი არ ვრცელდება:

ა) საწარმოზე 350-ზე ნაკლები კვერცხმდებელი ქათმით;

ბ) საწარმოზე, სადაც ხორციელდება სანაშენე კვერცხმდებელი ქათმის გამოზრდა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საწარმოზე ვრცელდება „ფერმერული მიზნით შენახული ცხოველების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის N6 დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი მოთხოვნები.

4. ამ წესის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - სააგენტო).

მუხლი 2.

1. ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ განმარტებებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **კვერცხმდებელი ქათამი** - Gallus gallus სახეობის ქათამი, რომელმაც მიაღწია მომწიფების ვადას და ინახება კვერცხის წარმოებისთვის და არ არის განკუთვნილი სანაშენედ/ინკუბატორისათვის;

ბ) **საბუდარი** - ცალკეული ქათმისთვის ან ქათმების ჯგუფისთვის (ჯგუფური საბუდარი) განცალკევებული ადგილი კვერცხის დასადებად, რომლის იატაკის კომპონენტები არ შეიძლება შეიცავდეს მავთულის ბადეს, რომელსაც შეიძლება ფრინველები ეხებოდნენ;

გ) **ქვეშსაგები** - ნებისმიერი ფხვიერი მასალა, რომელიც ქათმებს საშუალებას აძლევს დაიკმაყოფილონ თავიანთი ეთოლოგიური მოთხოვნილებები;

დ) **გამოსაყენებელი ტერიტორია** - არანაკლებ 30 სმ სიგანის ფართობი, არაუმეტეს 14%-იანი იატაკის დახრილობით, არანაკლებ 45 სმ-იანი სიმაღლით. საბუდრის ადგილები არ ითვლება გამოსაყენებელ ტერიტორიად.

2. ამ წესის მიზნებისთვის, ასევე გამოიყენება „ფერმერული მიზნით შენახული ცხოველების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის N6 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლით განსაზღვრული განმარტებები.

მუხლი 3.

„ფერმერული მიზნით შენახული ცხოველების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის N6 დადგენილებით და ამ წესის დანართი N1-ით „კვერცხმდებელი ქათმის დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნები“ განსაზღვრულ შესაბამის მოთხოვნებთან ერთად, კვერცხმდებელი ქათმის მფლობელმა და მესაკუთრემ უნდა გამოიყენონ ასევე ამ მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სისტემიდან ერთ-ერთი:

ა) ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული ალტერნატიულ სისტემებთან დაკავშირებული მოთხოვნები;

ბ) ამ წესის მე-5 მუხლით განსაზღვრული გალიებთან დაკავშირებული მოთხოვნები.

მუხლი 4.

1. ამ მუხლით განსაზღვრული წარმოების ყველა ახლად აშენებული ან განახლებული წარმოების სისტემა და ყველა ასეთი სისტემა, რომელიც პირველად იქნა გამოყენებული, უნდა შეესაბამებოდეს სულ მცირე ამ მუხლის მე-2-მე-5 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ყველა სისტემა აღჭურვილი უნდა იყოს ისე, რომ ყველა კვერცხმდებელ ქათამს ჰქონდეს:

ა) ან ხაზოვანი საკვებური, რომელითაც უზრუნველყოფილია არანაკლებ 10 სმ თითო ფრინველზე, ან წრიული საკვებური, რომელითაც უზრუნველყოფილია არანაკლებ 4 სმ თითოეულ ფრინველზე;

ბ) ან ავტომატური (უწყვეტი) საწყურებელი, რომელითაც უზრუნველყოფილია 2,5 სმ თითოეულ ქათამზე, ან წრიული საწყურებელი, რომელითაც უზრუნველყოფილია 1 სმ თითოეულ ქათამზე.

გარდა ამისა, სადაც გამოიყენება დვრილიანი საწყურებელი ან ჭიქები, ყოველ 10 ქათამზე უნდა იყოს სულ მცირე ერთი დვრილიანი საწყურებელი ან ჭიქა. იქ, სადაც

საწყურებლებია დამონტაჟებული, არანაკლებ ორი ჭიქა ან ორი დვრილი უნდა იყოს ხელმისაწვდომი თითოეული ქათმისთვის;

გ) სულ მცირე ერთი საბუდარი ყოველ შვიდ ქათამზე. თუ გამოიყენება ჯგუფური საბუდარები, უნდა იყოს სულ მცირე 1 მ² საბუდარის სივრცე მაქსიმუმ 120 ქათმისთვის;

დ) ადეკვატური ქანდარა, ბასრი კიდეების გარეშე და არანაკლებ 15 სმ თითოეული ქათმისთვის. ქანდარა არ უნდა იყოს დამაგრებული ქვეშსაგების ზემოთ; ქანდარებს შორის ჰორიზონტალური მანძილი უნდა იყოს არანაკლებ 30 სმ, ხოლო ჰორიზონტალური მანძილი ქანდარასა და კედელს შორის უნდა იყოს სულ მცირე 20 სმ;

ე) სულ მცირე 250 სმ² ქვეშსაგებიანი ფართობი (თითოეულ ქათამზე), ქვეშსაგები უნდა იკავებდეს მიწის/იატაკის ზედაპირის მინიმუმ მესამედს.

3. დანადგარების იატაკი უნდა იყოს აგებული ისე, რომ ადეკვატურად მოეჭიდოს თითოეული ფეხის წინ მიმართული კლანჭები.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან ერთად:

ა) თუ გამოიყენება გამოზრდის სისტემები, სადაც ქათმებს შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილდნენ სხვადასხვა დონეებს შორის:

ა.ა) არ უნდა იყოს ოთხ დონეზე მეტი;

ა.ბ) დონეებს შორის სიმაღლე უნდა იყოს სულ მცირე 45 სმ;

ა.გ) საკვებურები და საწყურებლები უნდა იყოს განაწილებული ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნეს თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა ქათმისთვის;

ა.დ) დონეები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ თავიდან იქნეს **აცილებული** წვეთოვანი ვარდნა ქვემოთ მოცემულ დონეზე.

ბ) თუ კვერცხმდებელ ქათმებს აქვთ წვდომა ღია ფართთან:

ბ.ა) უნდა არსებობდეს რამდენიმე ხვრელი, არანაკლებ 35 სმ სიმაღლისა და 40 სმ სიგანისა და ვრცელდებოდეს შენობის მთელ სიგრძეზე, რომელიც პირდაპირ წვდომას ანიჭებს გარე ზონასთან; ნებისმიერ შემთხვევაში, 1 000 ფრთიან გუნდზე უნდა იყოს 2მ სიგრძის ღიობები;

ბ.ბ) ღია ფართი უნდა იყოს:

ბ.ბ.ა) ნებისმიერი დაბინძურების თავიდან ასაცილებლად სიმჭიდროვისა და ნიადაგის მახასიათებლის შესაბამისი;

ბ.ბ.ბ) აღჭურვილი უამინდობისა და მტაცებლებისგან თავშესაფრით და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი საწყურებლით.

5. თითოეულ კვადრატულ მეტრზე გამოსაყენებელ ტერიტორიაზე ფრინველის სიმჭიდროვე არ უნდა აღემატებოდეს ცხრა კვერცხმდებელ ქათამს. თუმცა, 2038 წლის 31 დეკემბრამდე. სადაც გამოსაყენებელი ტერიტორია შეესაბამება ხელმისაწვდომი მიწის/იატაკის ზედაპირს, დასაშვებია 12 კვერცხმდებელი ქათმის არსებობა იმ ფერმებისთვის, რომლებიც იყენებენ ამ სისტემას 2024 წლამდე.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მინიმალური მოთხოვნები ვრცელდება ყველა ალტერნატიულ სისტემაზე.

მუხლი 5.

ამ მუხლის განსაზღვრული ყველა გალიის სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს სულ მცირე შემდეგ მოთხოვნებს:

ა) კვერცხმდებელ ქათმებს უნდა ჰქონდეთ:

ა.ა) არანაკლებ 750 სმ² გალიის ფართობი თითოეულ ქათამზე, საიდანაც გამოსაყენებელი ტერიტორია შეადგენს 600 სმ²-ს; გალიის სიმაღლე, გარდა გამოსაყენებელი ტერიტორიის ზემოთ, უნდა იყოს სულ მცირე 20 სმ თითოეულ წერტილში და არცერთ გალიას არ უნდა ჰქონდეს 2000 სმ²-ზე ნაკლები საერთო ფართობი;

ა.ბ) საბუდარი;

ა.გ) ქვეშაგები ისეთი, რომ შესაძლებელი იყოს ჩანისკარტება და დაკაწვრა;

ა.დ) თითოეულ ქათამზე შესაბამისი ქანდარა არანაკლებ 15 სმ;

ბ) უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკვებურით, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას შეუზღუდავად. მისი სიგრძე უნდა იყოს არანაკლებ 12 სმ გამრავლებული ქათმების რაოდენობაზე გალიაში;

გ) თითოეულ გალიას უნდა ჰქონდეს გუნდის ზომის შესაბამისი სასმელი სისტემა; სადაც თითოეული ქათმისთვის სულ მცირე ორ დვრილიანი საწყურებელი ან ორი ჭიქა უნდა იყოს ხელმისაწვდომი;

დ) ქათმების ინსპექტირების, ჩასმისა და დეპოპულაციის გასაადვილებლად, გალიების იარუსებს შორის გასავლელი უნდა იყოს არანაკლებ 90 სმ სიგანის, ხოლო შენობის იატაკსა და გალიების ქვედა იარუსს შორის უნდა იყოს არანაკლებ 35 სმ სივრცე;

ე) გალიები აღჭურვილი უნდა იყოს კლანჭების დასამოკლებელი აღჭურვილობით.

მუხლი 6.

საწარმო, რომელზეც ვრცელდება ამ წესის მოქმედების სფერო, ექვემდებარება ავტორიზაციას სააგენტოს მიერ და ენიჭება უნიკალური ნომერი, რომელიც იქნება საშუალება ადამიანთა მოხმარებისთვის ბაზარზე განთავსებული კვერცხის მიკვლევადობისათვის.

მუხლი 7.

ყოველი წლის 31 აგვისტომდე სააგენტო სამინისტროს წარუდგენს წინა წლის წლიურ ანგარიშს მის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შესახებ ამ წესის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად. ანგარიშს თან უნდა ახლდეს გამოვლენილი შეუსაბამობებიდან ყველაზე სერიოზული შეუსაბამობ(ებ)ის ანალიზი და ეროვნული სამოქმედო გეგმა, რათა თავიდან იქნას აცილებული ან შემცირდეს მათი წარმოშობა მომდევნო წლებისთვის.

დანართი N1

კვერცხმდებელი ქათმის დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნები

„ფერმერული მიზნით შენახული ცხოველების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის N6 დადგენილების დანართი N1-ით „ფერმერული მიზნით შენახული ცხოველების დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნები“ განსაზღვრული შესაბამისი მოთხოვნების გარდა, გამოიყენება შემდეგი მოთხოვნები:

1. ყველა ქათამი უნდა შემოწმდეს მფლობელის ან ქათმეზე პასუხისმგებელი პირის მიერ დღეში ერთხელ მაინც.

2. ხმაურის დონე უნდა იყოს მინიმუმამდე დაყვანილი. თავიდან უნდა იქნას აცილებული მუდმივი ან მოულოდნელი ხმაური. ვენტილატორები, კვების დანადგარები ან სხვა აღჭურვილობა უნდა დაპროექტდეს, განთავსდეს, ფუნქციონირებდეს და მოვლილი იქნეს ისე, რომ მათ გამოიწვიონ მინიმალური ხმაური.

3. ყველა შენობას უნდა ჰქონდეს განათების საკმარისი დონე იმისათვის, რომ ყველა ქათამს შეძლოს ერთმანეთის გარკვევით/მკაფიოდ დანახვა, ვიზუალურად გარემოს აღქმა და ნორმალური აქტივობის შენარჩუნება. სადაც არის ბუნებრივი განათება, სინათლის დიოდები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ განათება თანაბრად გადანაწილდეს.

შეგუების პირველი დღეების შემდეგ განათების რეჟიმი უნდა იყოს ისეთი, რომ თავიდან იქნეს აცილებული ჯანმრთელობისა და ქცევითი პრობლემები. შესაბამისად, ის უნდა მიჰყვეს 24-საათიან რიტმს და მოიცავდეს სიზნელის ადეკვატურ უწყვეტ პერიოდს, რომელიც გრძელდება, ჩვენების მიხედვით, დაახლოებით დღის მესამედი, რათა ქათმებმა დაისვენონ და თავიდან აიცილონ ისეთი პრობლემები, როგორცაა იმუნოდეპრესია და თვალის ანომალიები. საკმარისი ხანგრძლივობის ბინდი უნდა იყოს უზრუნველყოფილი სინათლის ჩაქრობისას, რათა ქათმები დაბინავდნენ შემფოთებისა ან დაზიანების გარეშე.

4. შენობების ის ნაწილები, აღჭურვილობა ან ჭურჭელი, რომლებიც კონტაქტშია ქათმებთან, რეგულარულად უნდა დასუფთავდეს და დაექვემდებაროს დეზინფექციას და ნებისმიერ შემთხვევაში, ყოველი დეპოპულაციის შემდეგ და ქათმების ახალი პარტიის ჩასმამდე. ვიდრე გალიები დაკავებულია, ზედაპირები და ყველა აღჭურვილობა უნდა იყოს დამაკმაყოფილებლად სუფთა მდგომარეობაში.

გამონაყოფები უნდა მოსცილდეს იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭიროა და მკვდარი ქათმები გამოტანილი უნდა იქნეს ყოველდღე.

5. გალიები უნდა იყოს სათანადოდ აღჭურვილი ქათმების გაქცევის თავიდან ასაცილებლად.

6. ქათმების სამყოფელი, რომელიც შედგება გალიების ორი ან მეტი იარუსისგან, უნდა ჰქონდეს მოწყობილობა ან უნდა იქნას მიღებული შესაბამისი ზომები, რათა შესაძლებელი იყოს ყველა იარუსის უპრობლემოდ შემოწმება და ადვილად ქათმების გამოყვანა/მოცილება.

7. გალიის კარის დიზაინი და ზომები უნდა იყოს ისეთი, რომ ზრდასრული ქათმის გამოყვანა შესაძლებელი იყოს ზედმეტი ტანჯვისა და დაზიანების გარეშე.

8. აკრძალულია ყველა სახის დასახიჩრება. თუმცა, ბუმბულზე ჩანისკარტება და კანიბალიზმის თავიდან ასაცილებლად, სააგენტოს შეუძლია გასცეს ავტორიზაცია ნისკარტის წვერის მოჭრაზე, იმ პირობით, რომ ეს განხორციელდება კვალიფიციური პერსონალის მიერ 10 დღეზე ნაკლები ასაკის **წიწილწებზე**, რომლებიც განკუთვნილია კვერცხდებისათვის.

განმარტებითი ბარათი

„კვერცხმდებელი ქათმის დაცვის მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე

ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტი ითვალისწინებს კვერცხმდებელი ქათმის დაცვის მინიმალური მოთხოვნების დამტკიცებას.

პროექტის მომზადება განპირობებულია „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმების (შემდგომში – ასოცირების შეთანხმება) და მისი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმების (DCFTA) გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტურად შესრულების უზრუნველსაყოფად. კერძოდ, ზემოაღნიშნული ასოცირების შეთანხმების თანახმად, საქართველოს მიერ უნდა განხორციელდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროების (SPS) მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ მიზნით საქართველოს მიერ DCFTA-ს ძალაში შესვლის შემდეგ მომზადდა იმ რეგულაციების და დირექტივების ჩამონათვალი, რომლებთანაც უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება. ასოცირების შეთანხმების XI-B დანართი, პროექტის მომზადება განპირობებულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და მისი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებით. კერძოდ, ზემოაღნიშნული შეთანხმების თანახმად, საქართველოს მიერ უნდა განხორციელდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ მიზნით საქართველოს მიერ DCFTA-ს ძალაში შესვლის შემდეგ მომზადდა იმ რეგულაციების და დირექტივების ჩამონათვალი, რომლებთანაც უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება. შეთანხმების XI-B დანართი, რომელიც შესწორებულია საქართველო-ევროკავშირის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ქვეკომიტეტის 2023 წლის 6 მარტის №1/2023 გადაწყვეტილებით, შეიცავს ევროკავშირის იმ საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალს, რომლებთანაც უნდა მოხდეს ეროვნული კანონმდებლობის აპროქსიმაცია (SPS საკანონმდებლო ნუსხა) დაახლოების

ვადების მითითებით. მათ შორის არის „კვერცხმდებელი ქათმის დაცვის მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი მომზადებულია, 1999 წლის 19 ივლისის საბჭოს 1999/74/EC დირექტივის შესაბამისად, რომელიც ადგენს კვერცხმდებელი დედლების დაცვის მინიმალურ სტანდარტებს.

„კვერცხმდებელი ქათმის დაცვის მინიმალური მოთხოვნები“ (შემდგომში - წესი) ადგენს კვერცხმდებელი ქათმის დაცვის მინიმალურ მოთხოვნებს. აღნიშული წესი არ ვრცელდება საწარმოზე 350-ზე ნაკლები კვერცხმდებელი ქათმით და საწარმოზე, სადაც ხორციელდება სანაშენე კვერცხმდებელი ქათმის გამოზრდა. აღნიშნულ საწარმოზე ვრცელდება „ფერმერული მიზნით შენახული ცხოველების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის N6 დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი მოთხოვნები.

ამ წესის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - სააგენტო).

პროექტი განსაზღვრავს, „ფერმერული მიზნით შენახული ცხოველების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის N6 დადგენილებასთან ერთად, წარმოების სისტემებს და იმ მოთხოვნებს, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი საწარმოები.

პროექტით განსაზღვრულია მოთხოვნები წარმოების სისტემებში გამოსაყენებელი საკვებურების, იატაკის, ქანდარის, სარწყულებლის, ქვეშსაგების შესახებ. ამასთან, განისაზღვრა მაქსიმალური დასაშვები სიმჭიდროვე, კერძოდ: თითოეულ კვადრატულ მეტრზე გამოსაყენებელ ტერიტორიაზე ფრინველის სიმჭიდროვე არ უნდა აღემატებოდეს ცხრა კვერცხმდებელ ქათამს. თუმცა, 2038 წლის 31 დეკემბრამდე, სადაც გამოსაყენებელი ტერიტორია შეესაბამება ხელმისაწვდომ ზედაპირს, დასაშვებია 12 კვერცხმდებელი ქათმის არსებობა იმ ფერმებისთვის, რომლებიც იყენებენ ამ სისტემას 2024 წლამდე. ამასთან ერთად, განისაზღვრა გალიის სისტემებისთვის სათანადო მოთხოვნები.

საწარმო, რომელზეც ვრცელდება ამ წესის მოქმედების სფერო, ექვემდებარება ავტორიზაციას სააგენტოს მიერ და ენიჭება უნიკალური ნომერი, რომელიც იქნება საშუალება ადამიანთა მოხმარებისთვის ბაზარზე განთავსებული კვერცხის მიკვლევადობისათვის.

ყოველი წლის 31 აგვისტომდე, სააგენტო სამინისტროს წარუდგენს წინა წლის წლიურ ანგარიშს მის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შესახებ ამ წესის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად. ანგარიშს თან უნდა ახლდეს გამოვლენილი

შეუსაბამობებიდან ყველაზე სერიოზული შეუსაბამობ(ებ)ის ანალიზი და ეროვნული სამოქმედო გეგმა, რათა თავიდან იქნას აცილებული ან შემცირდეს მათი წარმოშობა მომდევნო წლებისთვის.

პროექტს თან ერთვის დანართი N1 „კვერცხმდებელი ქათმის დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნები“, რომელიც ადგენს დამატებით მოთხოვნებს კვერცხმდებელი ქათმის დაცვასთან დაკავშირებით.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

„კვერცხმდებელი ქათმის დაცვის მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი მომზადებულია, 1999 წლის 19 ივლისის საბჭოს 1999/74/EC დირექტივის შესაბამისად, რომელიც ადგენს კვერცხმდებელი დედლების დაცვის მინიმალურ სტანდარტებს.

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება
პროექტი არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენას.

გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს გავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან,

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მიღება ხელს შეუწყობს ფრინველთა კეთილდღეობის დაცვასა და პროდუქტიულობის ამაღლებას.

პროექტის განხორციელების ვადები

დადგენილება ამოქმედდება გარდა ამ დადგენილებით დამტკიცებული „კვერცხმდებელი ქათმის დაცვის მინიმალური მოთხოვნების“ მე-4 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებისა, ამოქმედდება 2028 წლის პირველი იანვრიდან, მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდება 2038 წლის პირველი იანვრიდან, ხოლო მე-6 პუნქტი - 2035 წლის პირველი იანვრიდან.

პროექტი ამოქმედდება 2030 წლის პირველი იანვრიდან.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

<p>ევროკავშირის სამართლებრივი აქტი</p> <p>საბჭოს 1999 წლის 19 ივლისის 1999/74/EC დირექტივა „საკვერცხე მეურნეობის ქათმების დაცვის მინიმალური სტანდარტების დაწესების შესახებ“</p>		<p>საქართველოს ნორმატიული აქტის / აქტების პროექტი / პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი / აქტები, არსებობის შემთხვევაში:</p> <p>N1 საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „კვერცხმდებელი ქათმის დაცვის მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“</p> <p>შესაბამისობა:</p> <p>სშ – სრულად შესაბამისი ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი შ – შეუსაბამო ას – არასავალდებულო</p>				
1	2	3	4	5	6	7
მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	N	მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)	ნორმის ტექსტი	შესაბამისობა	შენიშვნები

1.1	ეს დირექტივა ადგენს საკვერცხე მეურნეობის ქათმების დაცვის მინიმალურ სტანდარტებს.	N1	1	1. „კვერცხმდებელი ქათმის დაცვის მინიმალური მოთხოვნები“ (შემდგომში - წესი) ადგენს კვერცხმდებელი ქათმის დაცვის მინიმალურ მოთხოვნებს.	სშ	
1.2	<p>ეს დირექტივა არ ვრცელდება:</p> <ul style="list-style-type: none"> - საკვერცხე მეურნეობები 350-ზე ნაკლები ქათმით, - დაწესებულებები, რომლებიც აწარმოებენ სანაშენე ქათმებს. <p>ასეთი დაწესებულებები ექვემდებარება 98/58/EC დირექტივის შესაბამის მოთხოვნებს.</p>	N1	1	<p>2. ეს წესი არ ვრცელდება:</p> <p>ა) საწარმოზე 350-ზე ნაკლები კვერცხმდებელი ქათმით;</p> <p>ბ) საწარმოზე, სადაც ხორციელდება სანაშენე კვერცხმდებელი ქათმის გამოზრდა.</p> <p>3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საწარმოზე ვრცელდება „ფერმერული მიზნით შენახული ცხოველების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის N6 დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი მოთხოვნები.</p>	სშ	<p>98/58/EC დირექტივისთან საკანონმდებლო დაახლოების ფარგლებში დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის N6</p>

					დადგენი ლება.
2.1	საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება 98/58/EC დირექტივის მე-2 მუხლის განმარტებები.	N1			ას ტერმინები სრულად არის ასახული დადგენი ლების პროექტში . საჭიროებ ის შემთხვევა ში გამოიყენე ბა ეროვნულ ი კანონმდე ბლობით განსაზღვ რული განმარტებ ები. შესაბამისა , აღნიშნუ ლი პუნქტის ტრანსფო რმაცია

					აღარ განხორციელდა ეროვნულ კანონმდებლობაში
2.2	გარდა ამისა, ამ დირექტივის მიზნებისათვის გამოიყენება შემდეგი განმარტებები:	N1	2	1. ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ განმარტებებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:	სშ
2.2	a) „კვერცხის მადებარი ქათმები“ ნიშნავს: Gallus gallus სახეობის ქათმებს, რომლებიც გამოიყენება საკვერცე მეურნეობისათვის კვერცხების, რომლებიც არ არის განკუთვნილი გამოჩეკვისათვის;	N1	2	ა) კვერცხმდებელი ქათამი - Gallus gallus სახეობის ქათამი, რომელმაც მიაღწია მომწიფების ვადას და ინახება კვერცხის წარმოებისთვის და არ არის განკუთვნილი სანაშენედ/ინკუბატორისათვის;	სშ
2.2	b) „ბუდე“ ნიშნავს: ცალკეულ ადგილს კვერცხის დასადებლად, რომლის იატაკის კომპონენტები არ შეიძლება შეიცავდეს მავთულხლართებს, რომლებიც შეიძლება შევიდეს ფრინველებთან კონტაქტში, ცალკეული ქათმისთვის ან ქათმების ჯგუფისთვის (ჯგუფური ბუდე);	N1	2	ბ) საბუდარი - ცალკეული ქათმისთვის ან ქათმების ჯგუფისთვის (ჯგუფური საბუდარი) განცალკევებული ადგილი კვერცხის დასადებლად, რომლის იატაკის კომპონენტები არ შეიძლება შეიცავდეს მავთულის ბადეს, რომელსაც შეიძლება ფრინველები ეხებოდნენ;	სშ
2.2	c) „ჩალა“ ნიშნავს: ნებისმიერ მტკრევად მასალას, რომელიც ქათმებს საშუალებას აძლევს დააკმაყოფილონ თავიანთი ეთოლოგიური მოთხოვნილებები;	N1	2	გ) ქვეშაგები - ნებისმიერი ფხვიერი მასალა, რომელიც ქათმებს საშუალებას აძლევს დაიკმაყოფილონ თავიანთი ეთოლოგიური მოთხოვნილებები;	სშ
2.2	d) „გამოსაყენებელი ფართობი“ ნიშნავს: არანაკლებ 30 სმ სიგანის ფართობს, იატაკის დახრილობით არაუმეტეს 14%, სათავე 45 სმ-ისა. ბუდობის ადგილები არ უნდა ჩაითვალოს გამოსაყენებელ ადგილად.	N1	2	დ) გამოსაყენებელი ტერიტორია - არანაკლებ 30 სმ სიგანის ფართობი, არაუმეტეს 14%-იანი იატაკის დახრილობით, არანაკლებ 45 სმ-იანი სიმაღლით. საბუდარის ადგილები არ ითვლება გამოსაყენებელ ტერიტორიად.	სშ
3	წვერი სახელმწიფოების მიერ მიღებული სისტემის ან სისტემების მიხედვით, ისინი უზრუნველყოფენ, რომ	N1	3	„ფერმერული მიზნით შენახული ცხოველების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის	სშ

	საკვერცხე მეურნეობის ქათმების მფლობელებმა გამოიყენონ არა მხოლოდ 98/58/EC დირექტივის და ამ დირექტივის დანართის შესაბამისი დებულებები, არამედ თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელი მოთხოვნები ქვემოთ მოხსენიებული სისტემებიდან, კერძოდ:			N6 დადგენილებით და ამ წესის დანართი N1-ით „კვერცხმდებელი ქათმის დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნები“ განსაზღვრულ შესაბამის მოთხოვნებთან ერთად, კვერცხმდებელი ქათმის მფლობელმა და მესაკუთრემ უნდა გამოიყენონ ასევე ამ მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სისტემებიდან ერთ-ერთი:		
3.a	ან I თავში გათვალისწინებული დებულებები ალტერნატიულ სისტემებთან დაკავშირებით;	N1	3	ა) ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული ალტერნატიულ სისტემებთან დაკავშირებული მოთხოვნები;	სშ	
3.b	ან II თავში გათვალისწინებული დებულებები არავიტამინირებული გალიების სისტემებთან დაკავშირებით;	N1	3	ბ) ამ წესის მე-5 მუხლით განსაზღვრული გალიებთან დაკავშირებული მოთხოვნები.	სშ	
3.c	ან III თავის დებულებებს ვიტამინირებულ გალიებთან დაკავშირებით.				ას	მე_3 თავი არასავალ დებულოა , რადგან მოთხოვნები შეეხება 2003/2012 წლებამდე განსახორციელებულ ღონისძიებებს.
თავი I 4	1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ 2002 წლის 1 იანვრიდან ამ თავში მოხსენიებული წარმოების ყველა ახლად აშენებული ან ხელახლა აშენებული სისტემა და ყველა ასეთი წარმოების სისტემა, რომელიც პირველად იქნა	N1	4	1. ამ მუხლით განსაზღვრული წარმოების ყველა ახლად აშენებული ან განახლებული წარმოების სისტემა და ყველა ასეთი სისტემა, რომელიც პირველად იქნა გამოყენებული, უნდა	სშ	

	გამოყენებული, შეესაბამებოდეს მინიმუმ ქვემოთ მოცემულ მოთხოვნებს.			შეესაბამებოდეს სულ მცირე ამ მუხლის მე-2-მე-5 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.	
თავი I 4	<p>1. ყველა სისტემა აღჭურვილი უნდა იყოს ისე, რომ ყველა საკვერცხე ქათამს ჰქონდეს:</p> <p>(a) ან ხაზოვანი მკვებავი, რომელიც უზრუნველყოფს მინიმუმ 10 სმ-ს თითო ფრინველზე ან წრიული მკვებავი, რომელიც უზრუნველყოფს მინიმუმ 4 სმ-ს თითო ფრინველზე;</p> <p>(b) ან უწყვეტი სასმელი, რომელიც უზრუნველყოფს 2,5 სმ თითო ქათამს, ან წრიული სასმელი, რომელიც უზრუნველყოფს 1 სმ თითო ქათამს.</p> <p>გარდა ამისა, სადაც გამოიყენება წვეთოვანი სასმელები ან ჭიქები, უნდა იყოს მინიმუმ ერთი წვეთოვანი სისტემა ან ჭიქა ყოველ 10 ქათამზე. იქ, სადაც სასმელი პუნქტებია ჩადგმული, მინიმუმ ორი ჭიქა ან ორი წვეთოვანი სასმელი უნდა იყოს მისაწვდომი თითოეული ქათამისთვის;</p> <p>(c) მინიმუმ ერთი ბუდე ყოველი შვიდი ქათამისთვის. თუ გამოიყენება ჯგუფური ბუდეები, უნდა იყოს მინიმუმ 1 მ² ბუდე სივრცე მაქსიმუმ 120 ქათამისთვის;</p>	N1	4	<p>2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ყველა სისტემა აღჭურვილი უნდა იყოს ისე, რომ ყველა კვერცხმდებელ ქათამს ჰქონდეს:</p> <p>ა) ან ხაზოვანი საკვებური, რომელითაც უზრუნველყოფილია არანაკლებ 10 სმ თითო ფრინველზე, ან წრიული საკვებური, რომელითაც უზრუნველყოფილია არანაკლებ 4 სმ თითოეულ ფრინველზე;</p> <p>ბ) ან ავტომატური (უწყვეტი) საწყურებელი, რომელითაც უზრუნველყოფილია 2,5 სმ თითოეულ ქათამზე, ან წრიული საწყურებელი, რომელითაც უზრუნველყოფილია 1 სმ თითოეულ ქათამზე.</p> <p>გარდა ამისა, სადაც გამოიყენება დვრილიანი საწყურებელი ან ჭიქები, ყოველ 10 ქათამზე უნდა იყოს სულ მცირე ერთი დვრილიანი საწყურებელი ან ჭიქა. იქ, სადაც საწყურებლებია დამონტაჟებული, არანაკლებ ორი ჭიქა ან ორი დვრილი უნდა იყოს ხელმისაწვდომი თითოეული ქათამისთვის;</p> <p>გ) სულ მცირე ერთი საბუდარი ყოველ შვიდ ქათამზე. თუ გამოიყენება ჯგუფური საბუდარები, უნდა იყოს სულ მცირე 1 მ² საბუდარის სივრცე მაქსიმუმ 120 ქათამისთვის;</p>	სშ

	<p>(d) ადეკვატური ქორჭილა, ბასრი კიდეების გარეშე და მინიმუმ 15 სმ თითო ქათამს. ქორჭილა არ უნდა იყოს დამაგრებული ნაგვის ზემოთ, ხოლო საწოლებს შორის ჰორიზონტალური მანძილი უნდა იყოს არანაკლებ 30 სმ, ხოლო ჰორიზონტალური მანძილი ქორჭილასა და კედელს შორის უნდა იყოს მინიმუმ 20 სმ;</p> <p>(e) მინიმუმ 250 სმ² ჩალის ფართობი თითო ქათამს, რომელიც უნდა იკავებდეს მიწის ზედაპირის მინიმუმ მესამედს.</p>			<p>დ) ადეკვატური ქანდარა, ბასრი კიდეების გარეშე და არანაკლებ 15 სმ თითოეული ქათმისთვის. ქანდარა არ უნდა იყოს დამაგრებული ქვეშაგების ზემოთ; ქანდარებს შორის ჰორიზონტალური მანძილი უნდა იყოს არანაკლებ 30 სმ, ხოლო ჰორიზონტალური მანძილი ქანდარასა და კედელს შორის უნდა იყოს სულ მცირე 20 სმ;</p> <p>ე) სულ მცირე 250 სმ² ქვეშაგებიანი ფართობი (თითოეულ ქათამზე), ქვეშაგები უნდა იკავებდეს მიწის/იატაკის ზედაპირის მინიმუმ მესამედს.</p>		
თა ვი I 4	2. დანადგარების იატაკი უნდა იყოს აგებული ისე, რომ ადეკვატურად დაეჭიროს თითოეული ფეხის წინ მიმართული კლანჭები.	N1	4	3. დანადგარების იატაკი უნდა იყოს აგებული ისე, რომ ადეკვატურად მოეჭიდოს თითოეული ფეხის წინ მიმართული კლანჭები.	სშ	
თა ვი I 4	3. გარდა 1-ელი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული დებულებებისა. (a) თუ გამოიყენება გალიების სისტემები, სადაც ქათმებს შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილდნენ სხვადასხვა დონეებს შორის, (i) არ უნდა იყოს ოთხ დონეზე მეტი; (ii) დონეებს შორის სიმაღლე უნდა იყოს მინიმუმ 45 სმ;	N1	4	4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან ერთად: ა) თუ გამოიყენება გამოზრდის სისტემები, სადაც ქათმებს შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილდნენ სხვადასხვა დონეებს შორის: ა.ა) არ უნდა იყოს ოთხ დონეზე მეტი; ა.ბ) დონეებს შორის სიმაღლე უნდა იყოს სულ მცირე 45 სმ; ა.გ) საკვებურები და საწყურებლები უნდა იყოს განაწილებული ისე, რომ უზრუნველყოფილი	სშ	

<p>(iii) სასმელი და კვების ობიექტები უნდა იყოს განაწილებული ისე, რომ უზრუნველყოს თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა ქათმისთვის;</p> <p>(iv) დონეები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ თავიდან იქნას აცილებული წვეთოვანი ვარდნა ქვემოთ მოცემულ დონეზე.</p> <p>(b) თუ ქათმებს აქვთ წვდომა ღია ტრასებზე:</p> <p>(i) უნდა არსებობდეს რამდენიმე ხვრელი, რომელიც პირდაპირ წვდომის საშუალებას მისცემს გარე ზონასთან, არანაკლებ 35 სმ სიმაღლისა და 40 სმ სიგანისა და ვრცელდება შენობის მთელ სიგრძეზე; ნებისმიერ შემთხვევაში, 1 000 ქათმის ჯგუფზე უნდა იყოს 2 მ სიგრძის ღიობები;</p> <p>(ii) ღია გაშვებები უნდა იყოს:</p> <ul style="list-style-type: none"> - ზონის სიმჭიდროვისა და ზედაპირის შესაბამისი ფართობი, ნებისმიერი დაბინძურების თავიდან ასაცილებლად; - აღჭურვილი იყოს უამინდობისა და მტაცებლებისგან თავშესაფრით და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სასმელით. 		<p>იქნეს თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა ქათმისთვის;</p> <p>ა.დ) დონეები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ თავიდან იქნეს აცილებული წვეთოვანი ვარდნა ქვემოთ მოცემულ დონეზე.</p> <p>ბ) თუ კვერცხმდებელ ქათმებს აქვთ წვდომა ღია ფართთან:</p> <p>ბ.ა) უნდა არსებობდეს რამდენიმე ხვრელი, არანაკლებ 35 სმ სიმაღლისა და 40 სმ სიგანისა და ვრცელდებოდეს შენობის მთელ სიგრძეზე, რომელიც პირდაპირ წვდომას ანიჭებს გარე ზონასთან; ნებისმიერ შემთხვევაში, 1 000 ფრთიან გუნდზე უნდა იყოს 2მ სიგრძის ღიობები;</p> <p>ბ.ბ) ღია ფართი უნდა იყოს:</p> <p>ბ.ბ.ა) ნებისმიერი დაბინძურების თავიდან ასაცილებლად სიმჭიდროვისა და ნიადაგის მახასიათებლის შესაბამისი;</p> <p>ბ.ბ.ბ) აღჭურვილი უამინდობისა და მტაცებლებისგან თავშესაფრით და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი საწყურებლით.</p>	
---	--	---	--

<p>თა ვი I 4</p>	<p>4. მარაგის სიმჭიდროვე არ უნდა აღემატებოდეს ცხრა ქათამს მ² გამოსაყენებელ ფართობზე.</p> <p>თუმცა, როდესაც გამოსაყენებელი ფართობი შეესაბამება მიწის ხელმისაწვდომ ზედაპირს, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, 2011 წლის 31 დეკემბრამდე, დაუშვან 12 ქათმის სიმჭიდროვე ხელმისაწვდომ ფართობზე მ² იმ დაწესებულებებისთვის, რომლებიც იყენებენ ამ სისტემას 1999 წლის 3 აგვისტოს.</p>	<p>N1</p>	<p>4</p>	<p>5. თითოეულ კვადრატულ მეტრზე გამოსაყენებელ ტერიტორიაზე ფრინველის სიმჭიდროვე არ უნდა აღემატებოდეს ცხრა კვერცხმდებელ ქათამს. თუმცა, 2038 წლის 31 დეკემბრამდე. სადაც გამოსაყენებელი ტერიტორია შეესაბამება ხელმისაწვდომი მიწის/იატაკის ზედაპირს, დასაშვებია 12 კვერცხმდებელი ქათმის არსებობა იმ ფერმებისთვის, რომლებიც იყენებენ ამ სისტემას 2024 წლამდე.</p>	<p>სშ</p>	
<p>თა ვი I 4</p>	<p>2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ 2007 წლის 1 იანვრიდან ყველა ალტერნატიულ სისტემაზე გავრცელდეს პირველი პუნქტით გათვალისწინებული მინიმალური მოთხოვნები.</p>	<p>N1</p>	<p>4</p>	<p>6. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მინიმალური მოთხოვნები ვრცელდება ყველა ალტერნატიულ სისტემაზე.</p>	<p>სშ</p>	
<p>თა ვი II მუ ხლ ი 5</p>	<p>1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ 2003 წლის 1 იანვრიდან ამ თავში მითითებული ყველა გალიის სისტემა შეესაბამებოდეს მინიმუმ შემდეგ მოთხოვნებს:</p> <p>1. თითო ქათამს გალიის ფართობის არანაკლებ 550 სმ², გაზომილი ჰორიზონტალურ სიბრტყეში, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას შეზღუდვის გარეშე, კერძოდ, არანარჩენი გადახრის ფირფიტების ჩათვლით, რომლებიც შეზღუდავს ხელმისაწვდომ ფართობს, უნდა იყოს გათვალისწინებული თითოეული ქათმისთვის;</p> <p>2. უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკვების დარი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას შეზღუდვის გარეშე. მისი</p>				<p>ას</p>	<p>მოთხოვნა არასავალდებულოა, რადგან მოთხოვნები შეეხება 2003/2012 წლებამდე განსახორციელებელ ღონისძიებებს</p>

	<p>სიგრძე უნდა იყოს არანაკლებ 10 სმ გამრავლებული გალიაში ქათმების რაოდენობაზე;</p> <p>3. თუ წვეთოვანი სასმელი სისტემა ან ჭიქები არ არის მიწოდებული, თითოეულ გალიას უნდა ჰქონდეს იგივე სიგრძის უწყვეტი სასმელი არხი, როგორც მე-2 პუნქტში აღნიშნული საკვებისთვის. იქ, სადაც სასმელი პუნქტებია ჩამონტაჟებული, მინიმუმ ორი სასმელის სისტემა ან ორი ჭიქა უნდა იყოს თითოეული გალიის მიღწევა;</p> <p>4. გალიები უნდა იყოს მინიმუმ 40 სმ სიმაღლით გალიის ფართობის არანაკლებ 65%-ზე და არანაკლებ 35 სმ-ისა ნებისმიერ წერტილში;</p> <p>5. გალიების იატაკი უნდა იყოს აგებული ისე, რომ ადეკვატურად დადგეს თითოეული ფეხის წინ მიმართული კლანჭები. იატაკის დახრილობა არ უნდა აღემატებოდეს 14%-ს ან 8%-ს. მართკუთხა მავთულის ბადის გარდა იატაკის გამოყენების შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დაუშვან უფრო ციცაბო ფერდობები;</p> <p>6. გალიები აღჭურვილი უნდა იყოს კლანჭების შესამცირებელი ხელსაწყოებით.</p>					
თა ვი II	<p>2. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ამ თავში მითითებულ გალიებში აღზრდა აიკრძალოს 2012 წლის 1 იანვრიდან. გარდა ამისა, 2003 წლის 1 იანვრიდან ამ თავში</p>				ას	მოთხოვნა არასავალდებულოა, რადგან

მუ ხლ ი 5	<p>მითითებული გალიების აშენება ან ექსპლუატაცია არ შეიძლება პირველ ეტაპზე.</p>				<p>მოთხოვნები შეეხება 2003/2012 წლებამდე განსახორციელებელ ღონისძიებებს</p>
<p>თა ვი II</p> <p>მუ ხლ ი 5</p>	<p>3. მე-2 პუნქტიდან უგულებელყოფით, მაიოტაში, როგორც ყველაზე შორეულ რეგიონში, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 349-ე მუხლის მნიშვნელობით (შემდგომში „მაიოტი“), საკვერცხე ქათმების გაშენება შეიძლება გაგრძელდეს გალიებში, როგორც მითითებულია ამ თავში 2017 წლის 31 დეკემბრამდე.</p> <p>2014 წლის 1 იანვრიდან მაიოტში პირველ ეტაპზე არ შეიძლება აშენდეს ან ექსპლუატაციაში შევიდეს გალიები, როგორც ამ თავშია აღნიშნული.</p> <p>კვერცხები მიღებული დაწესებულებებიდან, როგორც ეს მითითებულია ამ თავში, განთავსდება მხოლოდ მაიოტის ადგილობრივ ბაზარზე. ეს კვერცხები და მათი შეფუთვა მკაფიოდ უნდა იყოს იდენტიფიცირებული სპეციალური ნიშნით, რათა მოხდეს საჭირო კონტროლი. ამ სპეციალური ნიშნის მკაფიო აღწერა უნდა ეცნობოს კომისიას 2014 წლის 1 იანვრამდე.</p>				<p>ას</p> <p>მოთხოვნები ვრცელდება ერთ კონკრეტულ რეგიონზე</p>

<p>თა ვი III</p> <p>მუ ხლ ი 6</p>	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უზრუნველყონ, რომ 2002 წლის 1 იანვრის შემდეგ ამ თავში მითითებული ყველა გალია შეესაბამებოდეს მინიმუმ შემდეგ მოთხოვნებს:</p> <p>1. საკვერცხე ქათმებს უნდა ჰქონდეთ:</p> <p>a) მინიმუმ 750 სმ² გალიის ფართობი თითო ქათამს, საიდანაც გამოსაყენებელი უნდა იყოს 600 სმ²; გალიის სიმაღლე, გარდა გამოსაყენებელი ფართობის ზემოთ, უნდა იყოს არანაკლებ 20 სმ ყოველ წერტილში და არცერთ გალიას არ უნდა ჰქონდეს საერთო ფართობი 2000 სმ²-ზე ნაკლები;</p> <p>b) ბუდე;</p> <p>c) ჩალის საფენი ისეთი, რომ შესაძლებელი იყოს ჩხვლეტა და ნაკაწრი;</p> <p>d) შესაბამისი კანდარა თითო ქათამს მინიმუმ 15 სმ;</p>	<p>N1</p>	<p>5</p>	<p>ამ მუხლით განსაზღვრული ყველა გალიის სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს სულ მცირე შემდეგ მოთხოვნებს:</p> <p>ა) კვერცხმდებელ ქათმებს უნდა ჰქონდეთ:</p> <p>ა.ა) არანაკლებ 750 სმ² გალიის ფართობი თითოეულ ქათამზე, საიდანაც გამოსაყენებელი ტერიტორია შეადგენს 600 სმ²-ს; გალიის სიმაღლე, გარდა გამოსაყენებელი ტერიტორიის ზემოთ, უნდა იყოს სულ მცირე 20 სმ თითოეულ წერტილში და არცერთ გალიას არ უნდა ჰქონდეს 2000 სმ²-ზე ნაკლები საერთო ფართობი;</p> <p>ა.ბ) საბუდარი;</p> <p>ა.გ) ქვეშაგები ისეთი, რომ შესაძლებელი იყოს ჩანისკარტება და დაკაწვრა;</p> <p>ა.დ) თითოეულ ქათამზე შესაბამისი კანდარა არანაკლებ 15 სმ;</p>	<p>სმ</p>	
<p>თა ვი III</p> <p>მუ ხლ ი 6</p>	<p>2. უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკვების ღარი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას შეზღუდვის გარეშე. მისი სიგრძე უნდა იყოს მინიმუმ 12 სმ გამრავლებული ქათმების რაოდენობაზე გალიაში;</p>	<p>N1</p>	<p>5</p>	<p>ბ) უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკვებურით, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას შეუზღუდავად. მისი სიგრძე უნდა იყოს არანაკლებ 12 სმ გამრავლებული ქათმების რაოდენობაზე გალიაში;</p>	<p>სმ</p>	

თა ვი III მუ ხლ ი 6	3. თითოეულ გალიას უნდა ჰქონდეს ჯგუფის ზომის შესაბამისი სასმელი სისტემა; სადაც არის წვეთოვანი სასმელის სისტემა, მინიმუმ ორი ან ორი ჭიქა უნდა იყოს მწვდომადი თითოეული ქათამისთვის;	N1	5	გ) თითოეულ გალიას უნდა ჰქონდეს გუნდის ზომის შესაბამისი სასმელი სისტემა; სადაც თითოეული ქათამისთვის სულ მცირე ორ დვრილიანი საწყურებელი ან ორი ჭიქა უნდა იყოს ხელმისაწვდომი;	სშ	
თა ვი III მუ ხლ ი 6	4. ქათმების ინსპექტირების, მონტაჟისა და დეპოპულაციის გასაადვილებლად გალიების იარუსებს შორის უნდა იყოს მინიმუმ 90 სმ სიგანე, ხოლო შენობის იატაკსა და გალიების ქვედა იარუსს შორის უნდა იყოს დაშვებული არანაკლებ 35 სმ სივრცე;	N1	5	დ) ქათმების ინსპექტირების, ჩასმისა და დეპოპულაციის გასაადვილებლად, გალიების იარუსებს შორის გასავლელი უნდა იყოს არანაკლებ 90 სმ სიგანის, ხოლო შენობის იატაკსა და გალიების ქვედა იარუსს შორის უნდა იყოს არანაკლებ 35 სმ სივრცე;	სშ	
თა ვი III მუ ხლ ი 6	5. გალიები აღჭურვილი უნდა იყოს კლანჭების შესამცირებელი ხელსაწყოებით.	N1	5	ე) გალიები აღჭურვილი უნდა იყოს კლანჭების დასამოკლებელი აღჭურვილობით.	სშ	
თა ვი IV მუ ხლ ი 7	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დაწესებულებები, რომლებიც მოიცავს ამ დირექტივის მოქმედების სფეროს, დარეგისტრირდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ და მიენიჭოს განმასხვავებელი ნომერი, რომელიც იქნება საშუალება ადამიანთა მოხმარებისთვის ბაზარზე მოთავსებული კვერცხების კვალდაკვალ.	N1	6	საწარმო, რომელზეც ვრცელდება ამ წესის მოქმედების სფერო, ექვემდებარება ავტორიზაციას სააგენტოს მიერ და ენიჭება უნიკალური ნომერი, რომელიც იქნება საშუალება ადამიანთა მოხმარებისთვის ბაზარზე განთავსებული კვერცხის მიკვლევადობისათვის.	სშ	

	ამ მუხლის განხორციელების ღონისძიებები განისაზღვრება 2002 წლის 1 იანვრამდე მე-11 მუხლით დადგენილი პროცედურის შესაბამისად.					
თა ვი IV მუ ხლ ი 8	<p>2. წევრი სახელმწიფოები ყოველი წლის 31 აგვისტომდე წარუდგენენ კომისიას წინა წლის წლიურ ანგარიშს კომპეტენტური ორგანოს მიერ განხორციელებული ინსპექტირების შესახებ ამ დირექტივის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად. ანგარიშს თან უნდა ახლდეს შეუსაბამობის ყველაზე აღმოჩენების ანალიზი და ეროვნული სამოქმედო გეგმა, რათა თავიდან იქნას აცილებული ან შემცირდეს მათი წარმოშობა მომდევნო წლებისთვის. კომისია ამ ანგარიშების რეზიუმეს წარუდგენს წევრ სახელმწიფოებს.</p> <p>3. 2002 წლის 1 იანვრამდე კომისია მე-11 მუხლით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად წარუდგენს წინადადებებს შემდეგი საკითხების ჰარმონიზაციის შესახებ:</p> <p>_____</p> <p>(b) მე-2 პუნქტში მითითებული ანგარიშების ფორმა და შინაარსი და მათი წარდგენის სიხშირე.</p>	N1	7	ყოველი წლის 31 აგვისტომდე სააგენტო სამინისტროს წარუდგენს წინა წლის წლიურ ანგარიშს მის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შესახებ ამ წესის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად. ანგარიშს თან უნდა ახლდეს გამოვლენილი შეუსაბამობებიდან ყველაზე სერიოზული შეუსაბამობ(ებ)ის ანალიზი და ეროვნული სამოქმედო გეგმა, რათა თავიდან იქნას აცილებული ან შემცირდეს მათი წარმოშობა მომდევნო წლებისთვის.	სშ	
თა ვი IV მუ ხლ	არა უგვიანეს 2005 წლის 1 იანვრისა, კომისია საბჭოს წარუდგენს მოხსენებას, რომელიც შედგენილია სამეცნიერო ვეტერინარული კომიტეტის დასკვნის საფუძველზე, საკვერცხე ქათმების მოშენების სხვადასხვა სისტემებზე და, კერძოდ, ამ დირექტივით გათვალისწინებული სისტემების შესახებ. გაითვალისწინებული უნდა იქნას სხვადასხვა				ას	აღნიშნული მუხლით რეგულირდება კომისიისა და საბჭოს

<p>ო 10</p>	<p>სისტემის პათოლოგიური, ზოოტექნიკური, ფიზიოლოგიური და ეთოლოგიური ასპექტები და მათი ჯანმრთელობა და გარემოზე ზემოქმედება.</p> <p>ეს ანგარიში ასევე შედგენილი უნდა იყოს სხვადასხვა სისტემების სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენისა და თანამეგობრობის ეკონომიკურ პარტნიორებზე მათი ზემოქმედების შესწავლის საფუძველზე.</p> <p>ამასთანავე, მას უნდა დაერთოს შესაბამისი წინადადებები მოხსენების დასკვნებისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოლაპარაკებების შედეგების გათვალისწინებით.</p> <p>საბჭო ამ წინადადებებზე მოქმედებს კვალიფიციური უმრავლესობით მათი წარდგენიდან 12 თვის ვადაში.</p>				<p>ანგარიშვა ლდებულ ება, შესაბამისა დ, მოთხოვნა არა რელევანტ ურია ქართული მხარისთვ ის.</p>
<p>თა ვი IV მუ ხლ ო 11</p>	<p>1. კომისიას დახმარებას გაუწევს კვების ჯაჭვისა და ცხოველთა ჯანმრთელობის მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომელიც შექმნილია (EC) No178/2002 რეგულაციის 58-ე მუხლის შესაბამისად (1),</p> <p>2. როდესაც მითითება ხდება ამ მუხლზე, გამოიყენება 1999/468/EC გადაწყვეტილების მე-5 და მე-7 მუხლები (2),</p>				<p>ას აღნიშნუ ლი მუხლით რეგულირ დება კომისიისა და კვების ჯაჭვისა და ცხოველთ</p>

	<p>1999/468/EC გადაწყვეტილების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ვადა განისაზღვროს სამი თვე.</p> <p>3. კომიტეტმა უნდა შეიმუშავოს პროცედურების წესები.</p>				<p>ა ჯანმრთე ლობის მუდმივმ ოქმედი კომიტეტი ს ანგარიშვა ლდებულ ება, შესაბამისა დ, მოთხოვნა არა რელევანტ ურია ქართული მხარისთვ ის.</p>
<p>თა ვი IV მუ ხლ ო 12</p>	<p>88/166/EEC დირექტივა უქმდება 2003 წლის 1 იანვრიდან.</p>				<p>ას ევროკავში რის სამართლე ბრივი აქტების გაუქმება არა რელევანტ ურია ქართული მხარისთვ ის</p>

<p>თა ვი IV მუ ხლ ი 13</p>	<p>1. წევრი სახელმწიფოები ძალაში შეაქვთ კანონები, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები, მათ შორის ნებისმიერი სასჯელი, რომელიც აუცილებელია ამ დირექტივის შესასრულებლად არაუგვიანეს 2002 წლის 1 იანვრისა. მათ ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებენ კომისიას.</p> <p>როდესაც წევრი სახელმწიფოები მიიღებენ ამ ზომებს, ისინი უნდა შეიცავდეს მითითებას ამ დირექტივაზე ან უნდა ახლდეს ასეთი მითითება მათი ოფიციალური გამოქვეყნებისას. ასეთი მითითების გაკეთების მეთოდებს განსაზღვრავენ წევრი სახელმწიფოები.</p> <p>2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ხელშეკრულებით განსაზღვრული ზოგადი წესების დაცვით, შეინარჩუნონ ან გამოიყენონ თავიანთ ტერიტორიებზე საკვერცხე ქათმების დაცვის შესახებ დებულებები, რომლებიც უფრო მკაცრია, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ამ დირექტივით. ისინი აცნობებენ კომისიას ამ მიზნით მიღებული ნებისმიერი ზომის შესახებ.</p> <p>3. წევრი სახელმწიფოები კომისიას აცნობებენ ეროვნული კანონმდებლობის ძირითადი დებულებების ტექსტს, რომელსაც ისინი იღებენ ამ დირექტივით გაშუქებულ სფეროში.</p>				<p>ას</p>	<p>ვადაგადა ცილებულ ი მოთხოვნა</p>
---	--	--	--	--	-----------	--

<p>თავი IV მუხლი 14 თავი IV მუხლი 15</p>	<p>ეს დირექტივა ძალაში შედის ევროპული გაერთიანებების ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღიდან.</p> <p>ეს დირექტივა მიმართულია წევრ სახელმწიფოებზე.</p>				<p>ას</p>	<p>ევროკავშირის სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის ვადები არა რელევანტურია ქართული მხარისთვის</p>
<p>დანართი</p>	<p>98/58/EC დირექტივის დანართის შესაბამისი დებულებების გარდა, გამოიყენება შემდეგი მოთხოვნები:</p> <p>1. ყველა ქათამი უნდა შემოწმდეს ფერმერის ან ქათმებზე პასუხისმგებელმა პირის მიერ დღეში ერთხელ მაინც.</p>	<p>N1</p>	<p>დანართი N1</p>	<p>„ფერმერული მიზნით შენახული ცხოველების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის N6 დადგენილების დანართი N1-ით „ფერმერული მიზნით შენახული ცხოველების დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნები“ განსაზღვრული შესაბამისი მოთხოვნების გარდა, გამოიყენება შემდეგი მოთხოვნები:</p> <p>1. ყველა ქათამი უნდა შემოწმდეს მფლობელის ან ქათმებზე პასუხისმგებელი პირის მიერ დღეში ერთხელ მაინც.</p> <p>2. ხმაურის დონე უნდა იყოს მინიმუმამდე დაყვანილი. თავიდან უნდა იქნას აცილებული</p>	<p>სშ</p>	

<p>2. ხმის დონე უნდა იყოს მინიმუმამდე დაყვანილი. თავიდან უნდა იქნას აცილებული მუდმივი ან მოულოდნელი ხმაური. ვენტილაციის ვენტილატორები, კვების დანადგარები ან სხვა ალჭურვილობა უნდა აშენდეს, განთავსდეს, ფუნქციონირებდეს და შენარჩუნდეს ისე, რომ მათ გამოიწვიონ მინიმალური ხმაური.</p> <p>3. ყველა შენობას უნდა ჰქონდეს განათების დონე საკმარისი იმისათვის, რომ ყველა ქათამმა შეძლოს ერთმანეთის დანახვა და ნათლად დანახვა, ვიზუალურად გამოიკვლიოს გარემო და აჩვენოს ნორმალური აქტივობის დონე. სადაც არის ბუნებრივი განათება, სინათლის დიაფრაგმები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ შუქი თანაბრად გადანაწილდეს გალიაში.</p> <p>კონდიციონერების პირველი დღეების შემდეგ განათების რეჟიმი უნდა იყოს ისეთი, რომ თავიდან აიცილოს ჯანმრთელობისა და ქცევითი პრობლემები. შესაბამისად, ის უნდა შეესაბამებოდეს 24-საათიან რიტმს და მოიცავდეს სიბნელის ადეკვატურ უწყვეტ პერიოდს, რომელიც გრძელდება, ჩვენების მიხედვით, დღის დაახლოებით მესამედს, რათა ქათმებმა დაისვენონ და თავიდან აიცილონ ისეთი პრობლემები, როგორცაა იმუნოდეპრესია და თვალის ანომალიები. საკმარისი ხანგრძლივობის ბინდი უნდა იყოს უზრუნველყოფილი შუქის ჩაქრობისას, რათა ქათმებმა დაიმუნდრონ ან დაზიანების გარეშე.</p>		<p>მუდმივი ან მოულოდნელი ხმაური. ვენტილატორები, კვების დანადგარები ან სხვა ალჭურვილობა უნდა დაპროექტდეს, განთავსდეს, ფუნქციონირებდეს და მოვლილი იქნეს ისე, რომ მათ გამოიწვიონ მინიმალური ხმაური.</p> <p>3. ყველა შენობას უნდა ჰქონდეს განათების საკმარისი დონე იმისათვის, რომ ყველა ქათამს შეძლოს ერთმანეთის გარკვევით/მკაფიოდ დანახვა, ვიზუალურად გარემოს აღქმა და ნორმალური აქტივობის შენარჩუნება. სადაც არის ბუნებრივი განათება, სინათლის დიაფრაგმები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ განათება თანაბრად გადანაწილდეს.</p> <p>შეგუების პირველი დღეების შემდეგ განათების რეჟიმი უნდა იყოს ისეთი, რომ თავიდან იქნეს აცილებული ჯანმრთელობისა და ქცევითი პრობლემები. შესაბამისად, ის უნდა მიჰყვეს 24-საათიან რიტმს და მოიცავდეს სიბნელის ადეკვატურ უწყვეტ პერიოდს, რომელიც გრძელდება, ჩვენების მიხედვით, დაახლოებით დღის მესამედი, რათა ქათმებმა დაისვენონ და თავიდან აიცილონ ისეთი პრობლემები, როგორცაა იმუნოდეპრესია და თვალის ანომალიები. საკმარისი ხანგრძლივობის ბინდი უნდა იყოს უზრუნველყოფილი სინათლის ჩაქრობისას, რათა ქათმები დაბინავდნენ შემფოთებისა ან დაზიანების გარეშე.</p>	
---	--	--	--

<p>4. შენობების ის ნაწილები, აღჭურვილობა ან ჭურჭელი, რომლებიც კონტაქტშია ქათმებთან, რეგულარულად უნდა გაიწმინდოს და გაიწმინდოს დეზინფექცია ყოველ შემთხვევაში, ყოველ ჯერზე ქათმების ახალი პარტიის განთავსებამდე. სანამ გალიები დაკავებულია, ზედაპირები და ყველა აღჭურვილობა უნდა იყოს სუფთა.</p> <p>წვეთოვანი სისტემა უნდა მოიხსნას იმდენჯერ, რამდენიც საჭიროა და მკვდარი ქათმები უნდა იქნას მოშორებული ყოველდღე.</p> <p>5. გალიები უნდა იყოს სათანადოდ აღჭურვილი ქათმების გაქცევის თავიდან ასაცილებლად.</p> <p>6. გალია, რომელიც შედგება გალიების ორ ან მეტ საფეხურზე, უნდა ჰქონდეს მოწყობილობები ან უნდა იქნას მიღებული შესაბამისი ზომები, რათა მოხდეს ყველა იარუსის უპრობლემოდ შემოწმება და გაადვილდეს ქათმების მოცილება.</p> <p>7. გალიის კარის დიზაინი და ზომები უნდა იყოს ისეთი, რომ ზრდასრული ქათამი არ მიიღოს დაზიანება.</p> <p>8. 98/58/EC დირექტივის დანართის მე-19 პუნქტის დებულებების შეზღუდვის გარეშე, ყოველგვარი დასახიჩრება</p>		<p>4. შენობების ის ნაწილები, აღჭურვილობა ან ჭურჭელი, რომლებიც კონტაქტშია ქათმებთან, რეგულარულად უნდა დასუფთავდეს და დაექვემდებაროს დეზინფექციას და ნებისმიერ შემთხვევაში, ყოველი დეპოპულაციის შემდეგ და ქათმების ახალი პარტიის ჩასმამდე. ვიდრე გალიები დაკავებულია, ზედაპირები და ყველა აღჭურვილობა უნდა იყოს დამაკმაყოფილებლად სუფთა მდგომარეობაში.</p> <p>გამონაყოფები უნდა მოსცილდეს იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭიროა და მკვდარი ქათმები გამოტანილი უნდა იქნეს ყოველდღე.</p> <p>5. გალიები უნდა იყოს სათანადოდ აღჭურვილი ქათმების გაქცევის თავიდან ასაცილებლად.</p> <p>6. ქათმების სამყოფელი, რომელიც შედგება გალიების ორი ან მეტი იარუსისგან, უნდა ჰქონდეს მოწყობილობა ან უნდა იქნას მიღებული შესაბამისი ზომები, რათა შესაძლებელი იყოს ყველა იარუსის უპრობლემოდ შემოწმება და ადვილად ქათმების გამოყვანა/მოცილება.</p> <p>7. გალიის კარის დიზაინი და ზომები უნდა იყოს ისეთი, რომ ზრდასრული ქათმის გამოყვანა შესაძლებელი იყოს ზედმეტი ტანჯვისა და დაზიანების გარეშე.</p> <p>8. აკრძალულია ყველა სახის დასახიჩრება. თუმცა, ბუმბულზე ჩანისკარტება და</p>	
--	--	---	--

<p>იკრძალება. თუმცა, ბუმბულის მოძრობიდა და კანიბალიზმის თავიდან ასაცილებლად, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დაუშვან ნისკარტოს წვერის მოჭრა, იმ პირობით, რომ ეს განხორციელდება კვალიფიციური პერსონალის მიერ 10 დღეზე ნაკლები ასაკის ქათმებზე და განკუთვნილია მოშენდეს როგორც კვერცხი მადებარი.</p>		<p>კანიბალიზმის თავიდან ასაცილებლად, სააგენტოს შეუძლია გასცეს ავტორიზაცია ნისკარტის წვერის მოჭრაზე, იმ პირობით, რომ ეს განხორციელდება კვალიფიციური პერსონალის მიერ 10 დღეზე ნაკლები ასაკის წიწილებზე, რომლებიც განკუთვნილია კვერცხდებისათვის.</p>	
---	--	--	--

